საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6196
18/10/2022

6196-21-2-202210181639

ფიზიკურ პირს მაჯედ ო.ს. ალ-შოუბაკს (პ/ნ 01301131522)

ელ. ფოსტა: salobeqauri@gmail.com

თქვენი №4946 სკრინინგის განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დიდი ლილოს ტერიტორიაზე 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების (ს.კ. №81.08.31.336; №81.08.31.546; №81.08.31.632; №81.08.31.633; №81.08.30.550) სააგარაკე, დასასვენებელი და საცხოვრებელი სახლების განაშენიანების გეგმის პროექტს, გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამშენებლო მასალების, მათი ტრანსპორტირების და დროებით განთავსების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის ტიპებთან ერთად მითითებული უნდა იყოს მათი რაოდენობა;
- განხილული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების პროცესში წყლის გამოყენების, ასევე, ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს სანიაღვრე სისტემის მოწყობის, ასევე მისი უახლოეს სანიაღვრე სისტემასთან დაერთების, ასევე საკანალიზაციო სისტემისა და საკანალიზაციო ქსელთან დაერთების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაოდენობისა და დროებით განთავსების შესახებ, ასევე პროექტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსებისა და შემდგომი მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველში მითითებულია, რომ წინამდებარე სკრინინგის განცხადება მომზადებულია

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საფუძველზე. კანონის თანახმად, განსახილველი პროექტი მიეკუთვნება კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ: პუნქტი 9.2 „10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი.“ ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, რაც ასევე წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას;

- დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მოიცავს ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ გათვალისწინებულია მინიმუმ ერთსართულიანი და მაქსიმუმ სამსართულიანი შენობების განთავსება. სახლების მშენებლობის ნორმატიული ხანგრძლივობა შეადგენს 300 სამუშაო დღეს. საერთო სამშენებლო პერიოდი სრული განაშენიანებით შესაძლოა 5 წლამდე გაგრძელდეს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო პერიოდისა და ამ პერიოდში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო